ციცინო დავითულიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის

ასოც. პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი Tsitsino Davituliani

Associate Professor of Akaki Tsereteli State University and

Kutaisi University, Doctor of Geography

ფიქრია ჯინჯიხაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა

ასისტ. პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი

Pikria Jinjikhadze Assistant Professor of Akaki Tsereteli State University,

Doctor of Geography

გზა ტრადიციებისკენ – კულტურული ტურიზმის პოტენციალი რაჭა–ლეჩხუმში

The Road to Traditions – The Potential of Cultural Tourism in Racha–Lechkhumi

DOI: https://doi.org/10.52340/gmg2025.01.11

აბსტრაქტი

ჩვენი საკვლევი ტერიტორია მოიცავს მდ. რიონის ხეობაში მოქცეულ ლეჩხუმსა და ქვემო რაჭას. უდიდესი ტურისტული პოტენციალის არსებობის მიუხედავად რეგიონში ტურიზმის განვითარება საწყის ეტაპზეა და ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

რაჭა–ლეჩხუმი ის რეგიონია, სადაც კულტურული ტურიზმის განვითარება შეიძლება დაიგეგმოს მდგრადი პრინციპებით – ისე, რომ არც გარემო დაზიანდეს და არც კულტურული მემკვიდრეობა გაქრეს კომერციული ინტერესების ზეწოლით. თანამედროვე ტურიზმის ტენდენციები, ეკო-მეგობრული და ავთენტურ გამოცდილებაზე დაფუძნებული მოგზაურობა არის ის, რაც რაჭა–ლეჩხუმის ბუნებრივ შესაძლებლობებს იდეალურად შეესაბამება.

მდგრადი კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი თემების ჩართულობას ტურისტულ საქმიანობაში – საოჯახო ტიპის განთავსების ობიექტების განვითარებით, ადგილობრივი მენიუს პოპულარიზაციით, ტრადიციული რეწვისა და ოსტატობის ჩართვით ტურისტულ აქტივობებში. ეს პროცესები, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკურ გაძლიერებას და სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ – იცავს კულტურულ იდენტობას და აძლევს სტიმულს მის გაგრძელებას. ყველა ზემოაღნიშნულის მაგალითს ლეჩხუმში მდებარე ,,ზანდურის სახლი" წარმოადგენს. ეს არის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სადაც ერთ სივრცეში წარმოდგენილია ლეჩხუმის ისტორია, კულტურა, ტრადიციები, საოჯახო მარნისა და სასოფლო ტურიზმის სპეციფიკა. ტურისტებისთვის საინტერესოა მონაწილეობა მასტერკლასებში, ხალხური სიმღერის საღამოებში, ან ტრადიციული რაჭული ღვინის დაყენების პროცესში. ამ გზით კულტურა აღარ რჩება მხოლოდ ისტორიულ ექსპონატად, არამედ იქცევა ცოცხალ გამოცდილებად – რომელიც ტურისტს დაუვიწყარ შთაბეჭდილებას უტოვებს და ადგილობრივსაც ეკონომიკურად აძლიერებს. პოსტკოვიდურ პერიოდში აღირიცხა ვიზიტორთა რიცხვის ზრდა, რაც დამატებით სტიმულს ქმნის ტურიზმის სექტორში დასაქმებულთათვის.

ჩვენი კვლევის შედეგების გის ანალიზის საფუძველზე შევქმენით რეგიონის ტურისტული რუკები, რაც ვფიქრობთ მცირე დახმარებას გაუწევს რაჭა–ლეჩხუმში მოგზაურობით დაინტერესებულებს.

საკვანძო სიტყვები: რაჭა–ლეჩხუმი, ზანდურის სახლი, გის რუკები.

Abstract

Our research area covers Lechkhumi and Lower Racha, located in the valley of the Rioni River. Despite the region's enormous tourism potential, tourism development is still at an early stage, and much remains to be done.Racha–Lechkhumi is a region where the development of cultural tourism can be planned according to sustainable principles-ensuring that neither the environment is harmed nor the cultural heritage is lost under the pressure of commercial interests. Modern tourism trends, such as eco-friendly and authenticity-based travel experiences, perfectly match the natural and cultural characteristics of Racha–Lechkhumi.

Sustainable cultural tourism promotes the involvement of local communities in tourism activities-through the development of family-run accommodations, the popularization of local cuisine, and the inclusion of traditional crafts and skills in tourist experiences. These processes, on one hand, strengthen the regional economy and create jobs, while on the other, preserve cultural identity and encourage its continuation. A good example of this is the "House of Zanduri" located in Lechkhumi. It is an open-air museum that showcases the history, culture, and traditions of Lechkhumi, as well as the specifics of family wineries and rural tourism. Tourists are particularly

interested in participating in workshops, folk song evenings, or the traditional winemaking process of Racha. In this way, culture is no longer just a historical exhibit but becomes a living experience-leaving visitors with unforgettable impressions while economically empowering the local community. In the post-COVID period, there has been a noticeable increase in visitor numbers, which has provided additional motivation for those employed in the tourism sector Based on our GIS analysis results, we have created tourist maps of the region, which we believe will provide useful assistance to those interested in exploring Racha–Lechkhumi.

Keywords: Racha–Lechkhumi, House of Zanduri, GIS maps.

რაჭა-ლეჩხუმის ტურისტულ-რეკრეაციული რეგიონი დასავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონია, რომელიც მოიცავს მდ.მდ. რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობებს. ჩვენი საკვლევი ტერიტორია მოიცავს მდინარე რიონის ხეობაში მოქცეულ ქვემო რაჭასა და ლეჩხუმს.

რაჭა ლეჩხუმთან ერთად V საუკუნეში თაკვერის საერისთავოში შედიოდა. რაჭის საერისთავო X საუკუნის ბოლოს შეიქმნა. X-XIII საუკუნეებში დაყოფილი იყო ცალკეულ ხევებად. რაჭა XV ს-ის II ნახევარში იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, 1679 წელს ის თურქებმა აოოხრეს. 1789 წელს იმერეთის მეფე სოლომონ II-მ საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო. 1840-1846 წლებში ის ქუთაისის მაზრის შემადგენელი ნაწილია. 1930 წელს მაზრები გაუქმდა და შეიქმნა ონისა და ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონები [დავითულიანი, 2008:73].

ჩვენი მიზანია დაინტერესებული პირებისათვის გაგვეცნო ის ტურისტული ობიექტები, რომლებიც განლაგებულია მდ. რიონის ხეობაში, ნაკლებად ცნობილია ვიზიტორებისათვის და ჩვენი პატარა წვლილი შეგვეტანა მათ პოპულარიზაციაში, ამისთვის ლიტერატურული მეთოდის გარდა გამოვიყენეთ საველე კვლევისა და კარტოგრაფიული მეთოდები.

საკვლევ რეგიონში დიდი პოტენციალია განვითარდეს - კულტურული, სასოფლო, ექსტრემალური და სხვა მიმართულების ტურიზმი. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი, დავიწყოთ ეკოტურიზმით. პირველი ობიექტი საკვლევ ტერიტორიაზე, რომელიც ვფიქრობთ დააინტერესებს ვიზიტორებს - **ჩანჩქერი ვერძისთავაა** ლეჩხუმის რეგიონში, სოფელ ტვიშთან ახლოს მდებარეობს და ხვამლის მთიდან იღებს სათავეს. მისი სახელწოდება დაკავშირებულია ლეგენდასთან, რომლის მიხედვითაც, ხვამლის მთაზე მდებარე კარსტულ ჭაში ვერძის თავი ჩაუგდიათ. ამ ლეგენდის თანახმად, ჩანჩქერი ექვს თვეში ერთხელ ცვლის მიმართულებას: ნახევარი წელი ტვიშის მხარეს (მდინარე რიონის ხეობა) გადმოედინება, ხოლო დანარჩენი ნახევარი - სოფელ ოყურეშის მხარეს (მდინარე ცხენისწყლის ხეობა). ჩანჩქერი ვერტიკალური კლდიდან ეშვება და გარშემორტყმულია ხეებით, რაც მას განსაკუთრებულ ვიზუალურ ეფექტს ანიჭებს. მისი მონახულება ყველა სეზონზე შესაძლებელია, თუმცა განსაკუთრებით შთამბეჭდავია ზაფხულის სიმწვანესა და შემოდგომის ფერადოვნებაში.


შემდეგი საინტერესო ობიექტი - **ღვირიშის ჩანჩქერია** ცაგერის მუნიციპალიტეტში. იგი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და შთამბეჭდავი ჩანჩქერია რეგიონში. ჩამოედინება კავკასიონის მთებიდან და გამოირჩევა სუფთა, ცივი წყლითა და მიმზიდველი ბუნებრივი გარემოთი. განსაკუთრებით ლამაზია გაზაფხულზე და ზაფხულში, როცა ნაკადული ძლიერია და ხეობები მწვანეა. ჩანჩქერის თავზე გაკეთებულია გადასახედი და საფეხმავლო ბილიკი, რომელიც ჩადის ჩანჩქერის ძირამდე და ულამაზესი ხედებით გამოირჩევა.

ღვირიშის ჩანჩქერიდან ერთ კილომეტრში მდებარეობს ,,ზანდურის სახლი" ჩვენი აზრით ის აუცილებლად სანახავ ობიექტს წარმოადგენს. ზანდურის მასპინძელი ქალბატონი მანონი ახვლედიანი გამოირჩევა განსაკუთრებული სტუმართ-მასპინძლობით, ააღორძინა ზანდურისა და მახას ენდემური ჯიშის ხორბლის მოყვანა და მისი ტრადიციული წესით დამუშავება. აწარმოებს 5 სახეობის ღვინოს და თაფლს. აქვს საოჯახო სასტუმრო და ატარებს სხვადასხვა სახის მასტერკლასებს, რაც დამატებით სტიმულს ქმნის ვიზიტორებისათვის.

საირმის სვეტები - უნიკალური ბუნებრივი ძეგლია, რომელიც მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში, რაჭა-ლეჩხუმისა რეგიონში. ეს კლდოვანი სვეტები ჩამოყალიბდა ათასწლეულების განმავლობაში ბუნებრივი ეროზიის შედეგად და გამოირჩევა შთამბეჭდავი ფორმებითა და მასშტაბით. საირმის სვეტები ჭალის დაბალ ტერასაზე დგას. სვეტების მასივის სიგრძე 3 კილომეტრია, სიმაღლე - 30 მეტრი, დიამეტრი - 12 მეტრი [ბლიაძე,2009:114].

პირველი ობიექტი ლეჩხუმიდან რაჭისკენ გზაზე სიყვარულის ჩანქერია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს შეყვარებულ წყვილებში. სიყვარულის ჩანჩქერი გამოირჩევა გულის ფორმის ქვაბულით, საიდანაც წყალი გადმოედინება დახავსებულ კლდოვან მასივზე. ეს ფორმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ლევან მურუსიძემ, საკუთარი ხელით შექმნა - მან კლდეში გულის ფორმის გამოქვაბული გამოკვეთა, რაც სიყვარულის სიმბოლოდ იქცა.

შაორის წყალსაცავი - რაჭის ერთ-ერთი ულამაზესი და პოპულარული ბუნებრივი სანახაობაა. ის მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან დაახლოებით 1132 მეტრზე, ტყეებით და მთებით გარშემორტყმულ მაღალმთიან ზონაში. წყალსაცავი ხშირად იქცევა ფოტოგრაფებისა და მოგზაურების ყურადღების ცენტრში, განსაკუთრებით დილით ან მზის ჩასვლისას. აქ შესაძლებელია: ნავით სეირნობა, თევზაობა (ზოგან ნებადართულია), კემპინგი და პიკნიკი, ლაშქრობა და ტყეში სეირნობა. ზემოჩამოთვლილი ობიექტები მცირე ჩამონათვალია იმ ბუნებრივი ტურისტული რესურსებისა, რომელთა ნახვას შეძლებენ ვიზიტორები საკვლევ რეგიონში (იხ. რუკა 1).



რაჭა-ლეჩხუმი გამოირჩევა მევენახეობით და გამორჩეული გემოვნების ღვინოებით, რასაც განსაზღვრავს განსაკუთრებული მიკროკლიმატი - ზომიერად ნოტიო თბილი ზაფხულითა და რბილი ზამთრით. კარბონატული და ალუვიური ნიადაგები განაპირობებს ღვინის მაღალი ხარისხის არომატს. ღვინის დაყენება მიმდინარეობს როგორც ქვევრში, ისე ევროპული მეთოდით. ქვევრის კულტურა დღემდე ცოცხალია.

ლეჩხუმი იყოფა რამდენიმე მიკროზონად, თითოეული განსხვავებული მიკროკლიმატით:

- ლაჯანურის ხეობა – თეთრი **(ცოლიკაური) და წითელი** (ორბელური ოჯალეში) ღვინოების არომატული ნიმუშები**თ;**
- ცხენისწყლის ხეობა – უნიკალური წითელი ჯიში**თ** (უსახელაური)**,**
- **ტვიშის მიკროზონა** - ტვიშის ცოლიკაურით.

ასოციაციაში ,,ბუნებრივ ღვინო“ 3 მარანია გაერთიანებული ლეჩუმიდან - ,,ასათიანების ღვინო“, ,,მუშკუდიანების მარანი“ და საოჯახო ღვინო ,,თამანი“. აღნიშნული კომპანიები ნატურალურ ღვინოს ასხამენ და ვენახებს მკაცრი წესით უვლიან [სებისკვერაძე, 2023].

ცალკე უნდა გამოიყოს უსახელაური – ,,წითელი ვარსკვლავი ლეჩხუმისგან“ როგორც მას უწოდებენ, იშვიათი და ძვირფასი ნახევრადტკბილი წითელი ღვინო. მზადდება მხოლოდ ცაგერისა მიკროზონაში.

მდიდარი ბუკეტი, მუქი მეწამული ფერი და ნაზი სიტკბო. ითვლება ლეჩხუმის „საგვარეულო სასმელად“ – სასიამოვნო სუფრისა და განსაკუთრებული შემთხვევებისთვის. უსახელაურის ვენახები მცირე ფართობზე, სამ სოფელში- ოყურეში, ისუნდერსა და ზუბში ძლიერ დახრილ ფერდობებზეა გაშენებული და მას ხელით ამუშავებენ. ღვინო ხელით გადარჩეული ყურძნით იწურება და კომპანიის ფასი 70 ლარია. სავაჭრო ქსელებში მისი ფასი გაცილებით მაღალია და ის ყველაზე ძვირად ღირებული ვაზის ჯიშია 1კგ ყურძნის ფასი 10-20 ლარს შორის მერყეობს [მამარდაშვილი, 2017].

საკვლევ რეგიონში განსაკუთრებით სახელგანთქმულია ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო “ხვანჭკარა” (ამ სახელწოდებით იწარმოება 1932 წლიდან), რომელსაც მე-19 საუკუნეში “ყიფიანის ღვინო” ერქვა. დღეს ხვანჭკარა იწარმოება ორი ჯიშის, ალექსანდროულისა და მუჯურეთულის შერევით. ადრე დასაშვები იყო სხვა ჯიშების შერევაც. XIX საუკუნეში ხვანჭკარის ღვინოები თავად ყიფიანის ვენახებიდან, გუბერნიის საუკეთესო ღვინოებად ითვლებოდა. სინაზითა და ხავერდოვნებით მაშინდელი ექსპერტები ბურგუნდიულ ღვინოებს ადარებდნენ “ყიფიანის ღვინოს”. ამ ღვინის მემკვიდრე ღვინოები დღესაც ძალიან პოპულარულია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

დღეს ხვანჭკარა ძირითადად გულისხმობს დაუდუღრობას და ნარჩენი შაქრით გამოწვეულ სიტკბოს. ანუ ღვინო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ყენდება, ტრადიციულ “საყიფიანოს” ღვინოში კი პირიქით, ბოლომდე დადუღება იყო მთავარი. რაჭული ღვინის შესახებ მონოგრაფიის ავტორი, ლევან ფრუიძე ასეთ ღვინოს “ძველ ღვინოს” უწოდებს.

დღეს რაჭული ღვინო საკმაოდ არასახარბიელო პოზიციაშია, ბაზარზე არსებული ხვანჭკარის ინდივიდუალობაც (უმცირესი გამონაკლისების გარდა) ხშირად ეჭვქვეშ დგება ხოლმე, თუმცა “ღვინის კლუბი” იმედს იტოვებს, რომ რაჭული ღვინო მალე დაიბრუნებს ძველ პოზიციებს და მომხმარებელი მშრალი ალექსანდროულის, საუკეთესო ხვანჭკარისა და წულუკიძის თეთრას ნამდვილ გემოსაც ახლიდან აღმოაჩენს [ფრუიძე,2022].

დიმიტრი ყიფიანს ჩამოსხმული ღვინო თბილისსა და ქუთაისში გასაყიდად გაჰქონდა, მიხეილ ყიფიანს პარიზში მეგობრები ჰყავდა და ის ღვინოს იქაურ რესტორანშიც აგზავნიდა. "ყიფიანის ღვინომ" პირველი მედალი ჯერ კიდევ 1900 წელს ბათუმის პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიიღო. 1907 წელს კი დიმიტრი ყიფიანმა თავისი ღვინო ბელგიის ქალაქ, ოსტენში გააგზავნა, სადაც მიმდინარეობდა ევროპის ღვინის ფესტივალი, ყველასთვის გასაოცრად სწორედ „ყიფიანის ღვინოს“ ხვდა წილად ოქროს გრან-პრი, რომელიც დღეს, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება [Check 24, 19].


ქვევრის ღვინოს დაყენების ტრადიციები ვფიქრობთ ხელს შეუწყობს შიგა და უცხოელი ვიზიტორების მოზიდვას რეგიონში და ღვინის ტურების დანერგვას რაჭასა და ლეჩხუმში. გთავაზობთ ღვინის ტურების რუკას რეგიონში (იხ.რუკა 2).



ღვინოების პოპულარიზაციისათვის რეგიონში ტარდება ღვინისა და გემოფესტის ფესტივალები, სადაც ვიზიტორები ეცნობიან ადგილობრივ ღვინის გემოებსა და სამზარეულოს. გარდა ამისა წლის ნებისმიერ სეზონზე ტურისტებს საშუალება ეძლევათ ტრადიციულ მარნებში დააგემოვნონ: არამარტო არომატული ღვინოები, არამედ ტრადიციული კერძები: ლობიანები, ნადუღი, ხინკალი ლეჩხუმურად, ლორი, კეცის კერძები. რთველზე შესაძლებელია ვიზიტორები დაესწრონ ღვინის დაყენების მასტერკლასს, დაკრიფონ ყურძენი, ამოავლონ ჩურჩხელები. გაეცნონ ადგილობრივ ტრადიციებსა და ფოლკროლს. ვიზიტორთა ინტერესს ზრდის საკვლევ რეგიონში არსებული ისტორიული ძეგლები: ნიკორწმინდა, ბარაკონი, წმ. მაქსიმე აღმსარებლის ტაძარი; მურის, ორბელისა და ხოტევის ციხეები; მუზეუმები.

ყოველწლიურად იზრდება რეგიონში ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა, იზრდება საოჯახო სასტუმროების რიცხვი, მაგრამ ზრდადობა შედარებით მეტია რაჭაში, ვიდრე ლეჩხუმში (იხ. ცხრ.1).

სასტუმროების რაოდენობის დინამიკა 2014–2024 წწ ცხრილი 1



წყარო: **https://regions.geostat.ge/regions/racha.php?lang=ka**

დასკვნა - რეგიონში არსებული ბუნებრივ-ტურისტული ობიექტები, კლიმატი, საოჯახო მარნები და ღვინის დაყენების ტრადიციები სულ უფრო მეტად იზიდავს როგორც შიდა ისე უცხოელ ვიზიტორებს, ეს კი დამატებით სტიმულია ადგილობრივი მოსახლეობის ჩასართავად ტურიზმის სფეროში. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ვიზიტორთა რაოდენობამ 2020 კოვიდის პერიოდში კი არ მოიკლო რეგიონში, არამედ მოიმატა. ზრდადობა 2024 წლისათვის 50% შეადგენს.

იმფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებამ და წლევანდელმა ,,გემო ფესტმა“ რაჭაში კიდევ უფრო გაზარდა რეგიონის ცნობადობა და მიმზიდველობა. ყველაფერი ერთად კი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას რეგიონის ტურიზმში, რაც თავის მხრივ შეამცირებს მოსახლეობის დენადობის პროცესს ისედაც ყველაზე მცირე მოსახლეობის მქონე საქართველოს რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბლიაძე ნ, (2009)- საირმის სვეტების ისტორია. ქუთაისი, აწსუ
2. დავითულიანი ც, მიქაუტაძე დ, (2008) - საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება. ქუთაისი, აწსუ
3. მამარდაშვილი ფ., (2017) - ცოტაც ბევრია? ,,უსახელაურის“ ღვინის ამბავი. https://iset-pi.ge/ka/blog/182-tsotats-bevria-usakhelauris-ghvinis-ambavi
4. სებისკვერაძე ნ., (2023) - ლეჩხუმის ბუნებრივი ღვინო და დიდი მომავალი https://www.nwa.ge/ka/blog/249?title=lechkhumis-bunebrivi-ghvino-da-didi-momavali&lang=ka
5. ფრუიძე ლ, (2022) - ხვანჭკარა და რაჭული ღვინო. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/natia-chkhaidze/khvanchkara-da-rach
6. სტატისტიკური ინფორმაცია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების შესახებ. https://regions.geostat.ge/regions/racha.php?lang=ka
7. Check 24, (2019)- ხვანჭკარის ისტორია. https://check24.ge/ka/blog/9